განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფსიქოლოგია

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

1 ოქტომბერი, 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი:

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204555524
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ფსიქოლოგიაში 0707
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ლილი ხეჩუაშვილი** სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ეკატერინე ფირცხალავა** სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**საბა ბაზლიძე** შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
  - ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ფსიქოლოგიაში.
  - პროგრამა შედგება რამდენიმე ნაწილისგან, ესენია: საბაზისო სასწავლო კურსების მოდული (36 კრედიტი), უცხო ენის სავალდებულო მოდული (24 კრედიტი), სპეციალობის სასწავლო კურსების მოდული (მათ შორის, 96 სავალდებულო და 30 არჩევითი კრედიტი, სულ 126), თავისუფალი კომპონენტი (30 კრედიტი), პროფესიული პრაქტიკა (12 კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომი (12 კრედიტი).
  - წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამა ლოგიკურად არის აგებული და თანმიმდევრულია: ზოგად საუნივერსიტეტო და პროფესიის ბაზისურ სავალდებულო საგნებს მოსდევს შედარებით სპეციფიკური კურსები, რომლებიც ამა თუ იმ მიმართულებით დარგში ჩაღრმავების საშუალებას აძლევენ სტუდენტს. ამასთან, შინაარსი და სტრუქტურა, ფაქტობრივად, უზრუნველყოფს პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.
  - წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის ჩათვლით, უპირატესად, უზრუნველყოფს დასახული მიზნების, აღწერილი სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევას, პროგრამის სრულყოფისთვის გარკვეული კომპონენტები დახვეწის მიზნით შემუშავდა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  - აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერისტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასებისთვის განხორციელდა მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს.
  - ვიზიტი წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფი განსაზღვრული თანმიმდევრობით შეხვდა უნივერსიტეტის რექტორს, ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მიმდინარე სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელსა და ფინანსურ მენეჯერს. ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე, დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, ნახა ბიბლიოთეკა, აუდიტორიები და ელექტრონული ბაზა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა, დადგენილი წესის თანახმად, შესაბამისობაშია I, III, IV და V სტანდარტებთან და ნაწილობრივ შესაბამისობაში -- II სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

შემუშავდა რეკომენდაციების რამდენიმე ჯგუფი, კერძოდ, რეკომენდებულია:

— ცალკეულ კურსებთან დაკავშირებით:

- აკადემიური წერის კურსის შინაარსის მეტად მორგება ბაკალავრიატის სტუდენტების აკადემიურ საჭიროებებზე, ორიენტირება მეცნიერული წერილობითი კომუნიკაციის ძირითადი პრინციპებისა და ერთი ან ორი ტიპის ნაშრომის შესრულების სწავლებაზე და, ასევე, სწავლების მეთოდებში მეტი წერილობითი აქტივობის ჩართვა.
- კვლევის მეთოდების კურსისათვის: (ა) გამარტივდეს კურსის შინაარსი და მხოლოდ ზოგიერთი მეთოდის სწავლებაზე მოახდინოს ფოკუსირება, რომელთაც სტუდენტები გულდასმით გაეცნობიან როგორც თეორიულად, ისე -- პრაქტიკაში გამოყენების მიმართულებით; (ბ) შეირჩეს შესაბამისი მოცულობის საკითხავი მასალა, რათა სტუდენტებს მეტ-ნაკლებად სრულად შეეძლოთ ამა თუ იმ მეთოდის შესახებ წარმოდგენის შექმნა; (გ) არ მოეთხოვოთ მათ კვლევითი საქმიანობის დამოუკიდებლად წარმოება, მით უმეტეს, რომ არც მოცემული კურსი უზრუნველყოფს ამ კომპეტენციას და არც -- მოეთხოვებათ სწავლების მოცემულ საფეხურზე.
- კვლევის სტატისტიკური მეთოდების კურსისათვის: (ა) წარმოდგენილი ერთსემესტრიანი კურსი კი უხვად მოიცავს სტატისტიკის საკითხებსაც და SPSS-ში მუშაობის ნაწილსაც, რეკომენდებულია აღნიშნული კურსის ორ ნაწილად გაყოფა: ერთი კურსის ფარგლებში მონაცემთა ანალიზის სტატისტიკური მეთოდების სწავლება, რაც სავალდებულო კურსების ჩამონათვალში შევა და მეორე კურსის ფარგლებში უკვე ათვისებული მეთოდების SPSS-ის გამოყენებით პრაქტიკაში განსამტკიცებლად, რაც, შესაძლოა, არჩევითი კურსი იყოს, რომელსაც დაინტერესებული სტუდენტები აირჩევენ; (ბ) შემოთავაზებული კურსებისთვის შესაბამისი სახელწოდებების შერჩევა, რომელიც უფრო ზუსტად ასახავს კურსის მიზნებსა და შინაარსს.
- პათოფსოქოლოგიის კურსის ამოღება სასწავლო პროგრამის არჩევითი კურსების ჩამონათვალიდან, ან თანამედროვე სტანდარტების მიხედვით კურსის შინაარსის გადაწყობა, რასაც, თავისთავად, მოჰყვება საკითხავი ლიტერატურის შეცვლაც.
- სოციალური პედაგოგიკის არჩევითი კურსის შეთავაზებული კურსების ჩამონათვალიდან ამოღება, ან შინაარსის ისე გადაწყობა, რომ არ იფარებოდეს სხვა კურსების ფარგლებში უკვე ათვისებული საკითხები.
- ლიტერატურის ჩამონათვალის გადახედვა ზოგიერთ სილაბუსში და გამართულად, სრული ინფორმაციის მოწოდებით მათი წარმოდგენა.
- ყოველკვირეული საკითხავი მასალის ოპტიმალური მოცულობის შეთავაზება სტუდენტებისთვის.

— საკითხავ მასალასთან მიმართებით:

- იმგვარად მოხდეს საკითხავი მასალის შერჩევა ამა თუ იმ კურსისთვის, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ მინიმალური კომპეტენცია მასალის წასაკითხად, კერძოდ, ან ამოღებულ იქნეს რუსულენოვანი სახელმძღვანელოები/ტექსტები და ჩანაცვლდეს ინგლისურით, ან, დროთა განმავლობაში, შეიქმნას მეტი მასალა ქართულ ენაზე, რათა არ იყოს საჭირო რუსულენოვანი მასალის მიწოდების.
- მასალების გადახედვა და კვლავ განახლება ქართულ და ინგლისურ ენებზე ხელმისაწვდომი მასალებით.
- ლიტერატურის ჩამონათვალის გადახედვა ზოგიერთ სილაბუსში და გამართულად, სრული ინფორმაციის მოწოდებით მათი წარმოდგენა.
- ყოველკვირეული საკითხავი მასალის ოპტიმალური მოცულობის შეთავაზება სტუდენტებისთვის.

— სწავლებისა და შეფასების მეთოდების მიმართულებით:

- (ა) მხოლოდ მოცემული კურსისთვის მართებული კომპონენტების შეტანა და (ბ) დაკონკრეტება იმისა, უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ალტერნატიული ვარიანტებიდან კონკრეტულად რა მეთოდს იყენებს მოცემული კურსის წამყვანი, ზეპირია გამოკითხვა თუ წერითი, დისკუსიაა თუ დებატი, პრაქტიკული სამუშაოა თუ თეორიული შესასრულებელი.

— აკადემიური პერსონალის განვითარებისათვის:

- მეტად წახალისდეს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობა, იქნება ეს ადგილობრივი, შიდა საუნივერსიტეტო მცირე დაფინანსება, ცალკეული პროფესორების მიერ ინდივიდუალური თუ ინსტიტუციური კვლევითი გრანტების მოზიდვა თუ პერსონალის დატრენინგება/კონსულტირება საგრანტო წინადადებების მომზადება/წარდგენის მიმართულებით.
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობაში მეტად იქნეს ჩართული აღნიშნული სისტემის შესაბამისი მოდულები.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

— საჭიროებისა და მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია ცალკე არჩევითი კურსის შეთავაზება, რომელიც მოიცავს ფუნქციური წერის ელემენტებს, საჯარო გამოსვლების ტექნიკებისა და ა. შ. სწავლებას.

— მართალია, დაწესებულება სასწავლო უნივერსიტეტია და ნაკლებად აქვს კვლევის წარმოების ვალდებულება, პროგრამისა და მასში ჩართული სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე, კარგი იქნებოდა, სამეცნიერო ხარჯების მეტად დეტალიზებულად აღწერა, რათა აკადემიურმა პერსონალმა ზუსტად იცოდეს, რისთვის შეუძლია უნივერსიტეტისთვის თანხების თხოვნა.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

— წარმოდგენილმა პროგრამამ 2013 წელს გაიარა აკრედიტაცია და განხორციელება დაიწყო 2014 წელს. შესაბამისად, მიმდინარე წელს პირველი გამოშვება ჰყავდა (სულ 8 კურსდამთავრებული). დოკუმენტების შესწავლამ და ადგილზე ვიზიტმა აჩვენა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს სრულიად გააზრებული და უმეტესწილად, გათვალისწინებული აქვთ აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ მიცემული რეკომენდაციები -- შეტანილია შესაბამისი ცვლილებები პროგრამაში. ასევე, დახვეწილია პროგრამა სტუდენტებისგან, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, კერძოდ:

  - პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში ზოგიერთი ბაზისური კურსი (მაგალითად, „პიროვნების ფსიქოლოგია I" და პიროვნების ფსიქოლოგია II") წარმოდგენილ იქნა უფრო ვრცელი სახით;
  - პროგრამის სავალდებულო კურსების ჩამონათვალიდან არჩევითი კურსების ჩამონათვალში გადავიდა ის კურსები, რომლებიც ფსიქოლოგიის სფეროში სპეციფიკური საკითხების შესახებ ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების უზრუნველყოფას ემსახურება, მაგალითად, „ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები", „კონფლიქტის ფსიქოლოგია", „განათლების ფსიქოლოგია", „ქცევის ფსიქოლოგია", „ფსიქოკონსულტირების საფუძვლები", „მართვისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია";
  - კურსი „კომუნიკაციის ტექნოლოგიები" ამოღებულ იქნა სპეციალობის სავალდებულო კურსების მოდულიდან და გადავიდა საბაზისო სასწავლო კურსების მოდულში;
  - დაიხვეწა თავისუფალი კომპონენტების/არჩევითი სასწავლო კურსების მოდული და დაემატა ისეთი კურსები, როგორიცაა: „კულტურის ფსიქოლოგია", „სკოლის ფსიქოლოგია", „სოციალური პედაგოგიკა", „გეშტალტფსიქოთერაპია", „კოგნიტურ-ქცევითი თერაპია", „ფსიქოლოგიური სამსახური სკოლაში(პრაქტიკული კურსი)";
  - სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსების მოდულს დაემატა - „ინკლუზიური განათლების საფუძვლები", სოციალური მუშაობის საფუძვლები" და „ადიქტოლოგია";
  - კურსები „იურიდიული ფსიქოლოგია" და „ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები" არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან გადავიდა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები — აკადემიური სტანდარტების შესაბამისად კომპეტენტური ფსიქოლოგის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება ფსიქოლოგიის მეცნიერების ძირითად სფეროებში არსებული თანამედროვე ცოდნითა და პრაქტიკაში მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით და ასევე, უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის საჭირო კომპეტენციებით — შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, რაც გულისხმობს სტუდენტების მომზადებას კონკრეტული შრომის ბაზრის გამოწვევებისა და თანამედროვე გლობალური საზოგადოების სრულფასოვანი წევრობისათვის. პროგრამის კურსდამთავრებული არის ფართო პროფილის ფსიქოლოგი, რომელსაც შეეძლება პროფესიული ეთიკის ფარგლებში წარმართოს პროფესიული საქმიანობა და იყოს კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ისე — აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან შეხვედრამ აჩვენა, პროგრამის მიზნები დაწესებულების მისიის კონტექსტშია გააზრებული და ფორმულირებული, რაც უზრუნველყოფს კიდეც ამ ორის ურთიერთშესაბამისობას. ასევე, წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების შედეგად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • გთუნ-ის მისია; • ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): წარმოდგენილმა პროგრამამ 2013 წელს გაიარა აკრედიტაცია და ხორციელდება 2014 წლიდან. ამ ოთხწლიან პერიოდში, ფაქტობრივად, გათვალისწინებულ იქნა პირველ დასკვნაში შეთავაზებული რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი და პროგრამა მნიშვნელოვნად დაიხვეწა.
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში დეტალურად არის აღწერილი ყველა ის თეორიული ცოდნა, უნარი თუ პასუხისმგებლობა, რომელსაც პროგრამა აძლევს კურსდამთავრებულს. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ითვალისწინებს დასაქმების სფეროების მოთხოვნებსა და კურსდამთავრებულებს აძლევს განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. როგორც პროგრამის აღწერასა და თვითშეფასების ანგარიშში, ისე -- თითოეული კურსის სილაბუსში დაწვრილებით არის აღწერილი კონკრეტული სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევასაც ისახავს მოცემული კურსი. ასევე, ნათლად და დეტალიზებულად არის წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომლითაც შესაძლებელი ხდება პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ურთიერთშედარება. სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად უნივერსიტეტში (და, შესაბამისად, წარმოდგენილ პროგრამაშიც) შემუშავებულია პირდაპირი (წერითი და ზეპირი გამოცდა, გამოკითხვა და პრეზენტაცია, პრაქტიკული სამუშაო, პროექტი და ა. შ.) და არაპირდაპირი (დამსაქმებლების გამოკითხვა, კურიკულუმის რუკის ანალიზი, სტუდენტების გამოკითხვა და ა. შ.) შეფასების მეთოდოლოგია. ასევე, გაწერილია შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები. პროგრამის აღწერასა და თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობისა და ამა თუ იმ კომპონენტის შეფასების კონკრეტული ფორმის განსაზღვრისას გათვალისწინებულია დარგის/კურსის სპეციფიკა, რაც სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების საშუალებას იძლევა, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ თითოეული კურსის სილაბუსში გაწერილია მხოლოდ ზოგადი რეგულაციები (იხ. პუნქტი 2.6).

პროგრამის სწავლის შედეგების სისტემა, რომელისც ხორციელდება პროგრამაში სწავლის შედეგების შეფასების გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შეფასება, ასახულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში, რომლითაც საგანმანათლებლო პროგრამის მიზნით განსაზღვრული კომპეტენციების ფორმირება მხოლოდ პროგრამის ცალკეული კომპონენტების (მოდული, სასწავლო კურსი) სწავლის შედეგებით ხორციელდება. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ფორმირდება სწავლების ფორმებით, როგორიცაა ცალკეული ან რამდენიმე სასწავლო კურსი, პროფესიული პრაქტიკა, სამეცნიერო-კვლევითი, დამოუკიდებელი მუშობა და საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის ცხრილში აისახება. რადგანაც საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება ხორციელდება მთელი რიგი სასწავლო კურსის სწავლის შედეგებით, პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის ცხრილის შედგენა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მონაწილეობით. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასებისას ხორციელდება არა უშუალოდ პროგრამის, არამედ მის ფორმირებაში ჩართული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასება. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინდიკატორად გამოყენებულია ამ შედეგის ფორმირებაში მონაწილე უკანასკნელი სასწავლო კურსის შეფასებიდან ქულათა ის პროცენტი, რომელიც უშუალოდ ავითარებს პროგრამის მოცემულ სწავლის შედეგს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზისა და მათი სამიზნე ნიშნულებთან შედარების შემდეგ ხდება სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის გზების გადახედვა და პროგრამის შესაბამისად მოდიფიცირება არსებული რეგულაციების ფარგლებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამის სწავლის შედეგები; • პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობას; • სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების მიღების ანგარიში; • გამოკითხვის შედეგები; • სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის სწავლის შედეგებისა და გამოკითხვების მოდული; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრება.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	×			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად და აბიტურიენტთა ქულების რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე მოიპოვა უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლება. ასევე, პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია შიდა მობილობით მოიპოვოს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისი სასწავლო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტის ან, სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა გარე მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და შპს გთუნ-ის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაშვებას, ისინი ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დაიშვებიან კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვება განსაკუთრებულ და/ან დამატებით წინაპირობებს არ ითვალისწინებს და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ამრიგად, წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირების პროგრამაში ჩართვას, რაც სწავლის შედეგების მიღწევის მიზანს ემსახურება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს გთუნის შინაგანაწესი;
- შპს გთუნის ვებგვერდი: www.gtuni.edu.ge

რეკომენდაციები: --

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის საფუძველია უნივერსიტეტის მისიითა და სტრატეგიული გეგმის მიზნებითა და ამოცანებით განპირობებული შრომის ბაზრის მოთხოვნა და სოციალური საჭიროება აკადემიურად მიმზიდველ საგანმანათლებლო პროგრამაზე. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა რამდენიმე ეტაპს მოიცავს და აღნიშნულმა პროგრამამ გაიარა ყველა ეტაპი.

პროგრამა შედგება რამდენიმე ნაწილისგან, ესენია: საბაზისო სასწავლო კურსების მოდული (36 კრედიტი), უცხო ენის სავალდებულო მოდული (24 კრედიტი), სპეციალობის სასწავლო

კურსების მოდული (მათ შორის, 96 სავალდებულო და 30 არჩევითი კრედიტი, სულ 126), თავისუფალი კომპონენტი (30 კრედიტი), პროფესიული პრაქტიკა (12 კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომი (12 კრედიტი). წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამა ლოგიკურად არის აგებული და თანმიმდევრულია: ზოგად საუნივერსიტეტო და პროფესიის ბაზისურ სავალდებულო საგნებს მოსდევს შედარებით სპეციფიკური კურსები, რომლებიც ამა თუ იმ მიმართულებით დარგში ჩაღრმავების საშუალებას აძლევენ სტუდენტს. ამასთან, შინაარსი და სტრუქტურა, ფაქტობრივად, უზრუნველყოფს პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში (კოდი 0707), რომელიც შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მასში აღწერილ სწავლის შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; • თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრება; • თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები გაერთიანებულია ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების მოდულში. ყველა

მოდულისათვის განსაზღვრულია კომპეტენციები, რომელთა გამომუშავებასაც ეს მოდული ემსახურება. თითქმის ყველა კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, მათი შინაარსი და გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა კი -- კურსის სწავლის შედეგებს, თუმცა, ზოგიერთი კურსის სწავლის შედეგები და შინაარსი დასახვეწი, გარკვეული თვალსაზრისით, გადასალაგებელი და მეტად არის შესაბამისობაში მოსაყვანი პროგრამის სწავლის შედეგებთან.

რაც შეეხება სასწავლო მასალას, მართალია, თითოეული კურსის ძირითადი და დამატებითი საკითხავი მასალის ჩამონათვალში არაერთი წყაროა მითითებული და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რესურსებიც მდიდარია როგორც ბეჭდური, ისე -- ელექტრონული მასალებით (ადგილზე და სამეცნიერო პუბლიკაციების ბაზებში), საკითხავი ლიტერატურა მაინც გამოწვევად რჩება წარმოდგენილ პროგრამაში ჩართული კურსების დიდი ნაწილისთვის.

ყოველივე ზემოთ თქმულმა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების საფუძველი შექმნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- ცალკეული კურსების სილაბუსები;
- აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან შეხვედრა.

რეკომენდაციები:

1. **ცალკეული კურსების შინაარსი.** პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ზოგიერთი კურსის შინაარსი დასახვეწი ან გასამარტივებელია. შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილია რეკომენდაციები ცალკეულ კურსებთან მიმართებაში.

   1.1. **აკადემიური წერა.** ამ დასახელების მქონე კურსი საბაკალავრო დონეზე, როგორც წესი, წერილობითი აკადემიური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გამომუშვებაზე ახდენს ფოკუსირებას. მოცემულ პროგრამაში ჩართული ამავე დასახელების კურსის მიზნების ჩამონათვალში გვხვდება ისეთი პუნქტები, როგორიცაა „საჯარო გამოსვლისათვის ტექსტის მომზადება, ეფექტური საპრეზენტაციო ტექსტის აგება, ...ზეპირი კომუნიკაციისათვის საჭირო ენობრივი უნარ-ჩვევები“. ასევე, ფუნქციური წერის ელემენტებისა და საქმიანი დოკუმენტაციის წარმოების უნარების გამომუშავებაც ხვდება კურსების მიზნების ჩამონათვალში. გარდა ამისა, სტუდენტებმა უნდა აითვისონ „რეცენზიის, საბაკალავრო ნაშრომისა და სხვ.“ წერის უნარ-ჩვევები.

   კურსში გამოყენებული სწავლება/სწავლის მეთოდების ჩამონათვალში წარმოდგენილი არც ერთი მეთოდი მოიცავს წერილობით აქტივობას, იქნება ეს ვერბალური მეთოდი, დისკუსია/დებატები, გონებრივი იერიში, პრეზენტაციები.

   რაც შეეხება კურსის შინაარსს, წარმოდგენილი საკითხები და შესაბამისი აქტივობები ნაკლებად შეესაბამება, ერთი მხრივ, კურსის მიზნებში ჩამოთვლილ საკითხებს და, მეორე მხრივ, აკადემიური წერის კურსისთვის რელევანტურ საკითხებს. ასე მაგალითად, მხოლოდ VII კვირაში ეცნობიან სტუდენტები არგუმენტირებულ ესეს (და მხოლოდ 1 კვირაა ამ საკითხისთვის გამოყოფილი, რაც სრულიად არასაკმარისია ესეს პრაქტიკულად შესასრულებლად, სათანადო უკუკავშირის მისაღებად), VIII კვირაში -- კრიტიკას (1 კვირა) და მხოლოდ ამის შემდეგ (X კვირა) წარედგინებათ მათ

ნაშრომის გეგმის შედგენის გზები, რაც არათანმიმდევრულობაზე მიუთითებს. ასევე, XIV კვირაში შეთავაზებულია „სამეცნიერო ტექსტის აგების ძირითადი პრინციპები“, რომელშიც ბაკალავრებისთვის სრულიად არარელევანტური ნაშრომებია ჩამოთვლილი (რეცენზია, მონოგრაფია, სადოქტორო ნაშრომი).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია აღნიშნული კურსის შინაარსის მეტად მორგება ბაკალავრიატის სტუდენტების აკადემიურ საჭიროებებზე, ორიენტირება მეცნიერული წერილობითი კომუნიკაციის ძირითადი პრინციპებისა და ერთი ან ორი ტიპის ნაშრომის შესრულების სწავლებაზე და, ასევე, სწავლების მეთოდებში მეტი წერილობითი აქტივობის ჩართვა.

1.2. **კვლევის მეთოდები.** სილაბუსის მიხედვით, აღნიშნული კურსის მიზანს ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდების შესახებ თეორიული ცოდნის მიწოდებასთან ერთად, პრაქტიკულად გამოყენების სწავლება წარმოადგენს. კურსი ერთსემესტრიანია და მოიცავს მეთოდების ფართო სპექტრს (თვითდაკვირვებიდან დაწყებული, პროექციული მეთოდებით დასრულებული), რომლის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშვების დონეზე სწავლება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთან, თითოეულ კვირას სტუდენტებს წასაკითხად საშუალოდ 5-7 გვერდი ეძლევათ, რაც სრულიად არასაკმარისია მეთოდის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

გარდა ამისა, კურსის მიზნებში, აღწერასა და სწავლის შედეგებში აღნიშნულია, რომ სტუდენტები შეძლებენ „კვლევითი სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვას, ტექნიკურად მომზადებასა და ...“, რაც სრულიად არ მოეთხოვებათ სწავლების პირველი საფეხურის კურსდამთავრებულებს.

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია: (ა) გამარტივდეს კურსის შინაარსი და მხოლოდ ზოგიერთი მეთოდის სწავლებაზე მოახდინოს ფოკუსირება, რომელთაც სტუდენტები გულდასმით გაეცნობიან როგორც თეორიულად, ისე -- პრაქტიკაში გამოყენების მიმართულებით; (ბ) შეირჩეს შესაბამისი მოცულობის საკითხავი მასალა, რათა სტუდენტებს მეტ-ნაკლებად სრულად შეეძლოთ ამა თუ იმ მეთოდის შესახებ წარმოდგენის შექმნა; (გ) არ მოეთხოვოთ მათ კვლევითი საქმიანობის დამოუკიდებლად წარმოება, მით უმეტეს, რომ არც მოცემული კურსი უზრუნველყოფს ამ კომპეტენციას და არც -- მოეთხოვებათ სწავლების მოცემულ საფეხურზე.

1.3. **კვლევის სტატისტიკური მეთოდები.** წარმოდგენილი კურსის მიზანს წარმოადგენს „(1) მისცეს საბაზისო ცოდნა კვლევის სტატისტიკური მეთოდებისა და მათი გამოყენების შესახებ ფსიქოლოგიურ კვლევებში. ასევე, (2) სტატისტიკური პროგრამული პაკეტის SPSS-ის შესაძლებლობების და გამოყენების შესახებ. ამასთან ერთად სტუდენტები (3) მიიღებენ საწყის ცოდნას ფსიქოლოგიური კვლევების დაგეგმვის, განხორციელებისა და კვლევისათვის საჭირო მონაცემთა ანალიზის მეთოდების შესახებ.“

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ კურსის წარმოგენილი დასახელება ბუნდოვანია და ვერ ასახავს მის შინაარსს, ვინაიდან „სტატისტიკური მეთოდი“ უკვე არსებული მონაცემების დამუშავების მეთოდია და არა -- კვლევის წარმოების.

კურსის შინაარსში მესამე მიზნის შესაბამისი აქტივობები საერთოდ არ არის წარმოდგენილი, რაც სრულიად მართებულია, ვინაიდან ამ კურსის მიზანი ვერ იქნება ფსიქოლოგიური კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ ცოდნის მიწოდება. რაც შეეხება პირველ და მეორე მიზნებს, ისინი, ფაქტობრივად, დაფარულია და მოიცავს, ერთი მხრივ, სტატისტიკის საკითხების სწავლებას და, მეორე მხრივ, განხილული სტატისტიკური მანიპულაციების SPSS-ში განხორციელების უნარ-ჩვევის გამომუშავებას, რაც სერიოზულ დატვირთვას წარმოადგენს ერთსემესტრიანი კურსის ფარგლებში საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისათვის.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები: (ა) ვინაიდან საუბარია საბაკალავრო დონის სწავლებაზე, რომელზე მოსულ სტუდენტებს არანაირი წინასწარი ცოდნა გააჩნიათ სტატისტიკის შესახებ, წარმოდგენილი ერთსემესტრიანი კურსი კი უხვად მოიცავს სტატისტიკის საკითხებსაც და SPSS-ში მუშაობის ნაწილსაც, რეკომენდებულია აღნიშნული კურსის ორ ნაწილად გაყოფა: ერთი კურსის ფარგლებში მონაცემთა ანალიზის სტატისტიკური მეთოდების სწავლება, რაც სავალდებულო კურსების ჩამონათვალში შევა და მეორე კურსის ფარგლებში უკვე ათვისებული მეთოდების SPSS-ის გამოყენებით პრაქტიკაში განსამტკიცებლად, რაც, შესაძლოა, არჩევითი კურსი იყოს, რომელსაც დაინტერესებული სტუდენტები აირჩევენ; (ბ) შემოთავაზებული კურსებისთვის შესაბამისი სახელწოდებების შერჩევა, რომელიც უფრო ზუსტად ასახავს კურსის მიზნებსა და შინაარსს.

1.4. **პათოფსიქოლოგია.** აღნიშნული კურსის სახელწოდება, მიზნები და შინაარსი ნაკლებად მოდის ერთმანეთთან შესაბამისობაში. კურსის სახელწოდება მიუთითებს იმაზე, რომ შინაარსში საუბარი უნდა იყოს ფსიქოლოგიური აშლილობების საკლასიფიკაციო სისტემაზე და განხილულ უნდა იქნეს აშლილობათა ისეთი ჯგუფები, როგორიცაა შფოთვითი, გუნება-განწყობილების, პოსტტრავმული და სტრესთან დაკავშირებული, კვების, ძილისა და ა. შ. აშლილობები, თუმცა კურსის მიზნებში ნათლად არის ჩამოყალიბებული, რომ კურსის მიზანია სტუდენტებისთვის „პათოფსიქოლოგიის, როგორც ფსიქოლოგიის ერთ-ერთი დარგის, მისი განვითარების ისტორიის, ადგილისა და ღირებულების წარმოჩენა. ასევე, პათოფსიქოლოგიის ძირითად ჩარჩოს, კლინიკის პირობებში მომუშავე ფსიქოლოგის წინაშე მდგარ პრობლემების, მათი გადაჭრის გზების გაცნობა.“ ეს ყოველივე კი კლინიკური ფსიქოლოგიის სფეროა და არა მისი კერძო დარგის -- პათოფსიქოლოგიის. რაც შეეხება შინაარსს, ბუნდოვანია, რომელი საკლასიფიკაციო სისტემის მიხედვით დალაგებულ აშლილობებზეა საუბარი. გამოყენებული დასახელებები და შინაარსები არ შეესაბამება თანამედროვე პათოფსიქოლოგიის საგანს.

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია აღნიშნული კურსის ამოღება სასწავლო პროგრამის არჩევითი კურსების ჩამონათვალიდან, ან თანამედროვე სტანდარტების

მიხედვით კურსის შინაარსის გადაწყობა, რასაც, თავისთავად, მოჰყვება საკითხავი ლიტერატურის შეცვლაც.

1.5. **სოციალური პედაგოგიკა.** ამ არჩევითი კურსის მიზანს სტუდენტისთვის სოციალური პედაგოგიური საქმიანობის სპეფიციკისა და სოციალიზაციის პროცესში პიროვნების ჩამოყალიბების შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიწოდება, თუმცა შინაარსის გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ სტუდენტებს მიეწოდებათ ცოდნა (ა) პიროვნების თეორიების, (ბ) სოციალური ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხისა და (გ) სოციალური მუშაკების საქმიანობის შესახებ. არსად არის საუბარი პედაგოგიკაზე და, კერძოდ, სოციალურ პედაგოგიკაზე. ამასთან, პირველი და მეორე ჯგუფის საკითხები ფარავენ პიროვნების ფსიქოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის ორსემესტრიანი კურსების ფარგლებში განხილულ საკითხებს.

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია აღნიშნული არჩევითი კურსის შეთავაზებული კურსების ჩამონათვალიდან ამოღება, ან შინაარსის ისე გადაწყობა, რომ არ იფარებოდეს სხვა კურსების ფარგლებში უკვე ათვისებული საკითხები.

2. **საკითხავი მასალა.** საკითხავ მასალასთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი გამოიკვეთა:

2.1. **საკითხავი მასალის ენა.** მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი კურსებისთვის შექმნილია საკითხავი მასალა კურსის წამყვანის მიერ (ე. წ. „რიდერი“), ბევრგან მითითებულია რუსულენოვანი სახელმძღვანელოები, მაგალითად, კლინიკური ფსიქოლოგიის (ძირითადი და დამხმარე), კოგნიტური ფსიქოლოგია (დამხმარე), კვლევის სტატისტიკური მეთოდები (ძირითადი და დამხმარე). საქმე ისაა, რომ სტუდენტებს შეეთავაზებათ ინგლისური ენის 4 კურსი (24 კრედიტი ჯამში), რაც ლოგიკურს ხდის მათთვის დამატებითი ლიტერატურის (და ზოგ შემთხვევაში ძირითადისაც) სახით ინგლისურენოვანი მასალის შეთავაზებას. რაც შეეხება რუსულს, ამ ენიც ცოდნა არც წინაპირობით მოეთხოვებათ სტუდენტებს და არც პროგრამის ფარგლებშია მისი ათვისება უზრუნველყოფილი. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია რეკომენდაცია, რომ ან იმგვარად მოხდეს საკითხავი მასალის შერჩევა ამა თუ იმ კურსისთვის, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ მინიმალური კომპეტენცია მასალის წასაკითხად, კერძოდ, ან ამოღებულ იქნეს რუსულენოვანი სახელმძღვანელოები/ტექსტები და ჩანაცვლდეს ინგლისურით, ან, დროთა განმავლობაში, შეიქმნას მეტი მასალა ქართულ ენაზე, რათა არ იყოს საჭირო რუსულენოვანი მასალის მიწოდების.

2.2. **საკითხავი მასალის სიახლე.** წინა აკრედიტაციის ვიზიტის დროს შემუშავდა საკითხავი ლიტერატურის განახლების რეკომენდაცია, რომელიც პროგრამის განმახორციელებლებმა შეასრულეს, თუმცა კვლავ დგას უახლესი ლიტერატურით ზოგიერთი მიწოდებული მასალის ჩანაცვლების საჭიროება. ასე მაგალითად, პათოფსიქოლოგიის კურსში სტუდენტებს შეეთავაზებათ 2004 წელს გამოსული რუსულენოვანი სახელმძღვანელო, რომელიც სრულიად მოძველებულია გამომდინარე იქიდან, რომ 2015 და 2017 წლებში ფსიქოლოგიური აშლილობების სრულიად ახალი საკლასიფიკაციო სისტემები შემოვიდა მოხმარებაში.

ამრიგად, რეკომენდებულია მასალების გადახედვა და კვლავ განახლება ქართულ და ინგლისურ ენებზე ხელმისაწვდომი მასალებით.

2.3. **საკითხავი მასალის მითითება.** რიგი კურსების სილაბუსებში არასრულად არის მითითებული ესა თუ ის გამოცემა, რაც, ერთი მხრივ, პრობლემას შეიძლება უქმნიდეს სტუდენტს წყაროს მოძებნის შემთხვევაში და, მეორე მხრივ, არღვევს წყაროების ციტირებისა და მოტანის დადგენილ წესს (APA სტანდარტი სოციალურ მეცნიერებებში, მაგალითად), რაც არასახარბიელო მაგალითს აძლევს სტუდენტებს, რომლებიც, თავის მხრივ, აკადემიური წერისა და სხვა კურსების ფარგლებში უნდა ითვისებდნენ, იმტკიცებდნენ და იცავდნენ წერის სტანდარტებს. ასეთი შეთხვევები ფიქსირდება, მაგალითად, ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდების, კლინიკური ფსიქოლოგიის, გეშტალტფსიქოლოგიის სილაბუსებში.

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია ლიტერატურის ჩამონათვალის გადახედვა ზოგიერთ სილაბუსში და გამართულად, სრული ინფორმაციის მოწოდებით მათი წარმოდგენა.

2.4. **საკითხავი მასალის მოცულობა.** ზოგიერთი კურსის სილაბუსში მითითებულია ძალიან მწირი მოცულობის საკითხავი მასალა, რაც, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის სტუდენტებისთვის აუცილებელი და საკმარისი ინფორმაციის მიწოდებას ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ასე მაგალითად, ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდების სილაბუსში კვირაში დაახლოებით 10 გვერდის წაკითხვა უწევთ სტუდენტებს, სოციალურ ფსიქოლოგიაში -- დაახლოებით 15 გვერდის.

შესაბამისად, რეკომენდებულია ყოველკვირეული საკითხავი მასალის ოპტიმალური მოცულობის შეთავაზება სტუდენტებისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საჭიროებისა და მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია ცალკე არჩევითი კურსის შეთავაზება, რომელიც მოიცავს ფუნქციური წერის ელემენტებს, საჯარო გამოსვლების ტექნიკებისა და ა. შ. სწავლებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხ --

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში დეკლარირებულია, რომ ის უზრუნველყოფს ფსიქოლოგის პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო ბაზისური უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და კვლევითი აქტივობის განხორციელებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს.

პირველს პროგრამა აღწევს პროფესიული პრაქტიკის კომპონენტით, რომლის მოცულობაა 12 კრედიტი და ხორციელდება ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვთ ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები, ან მზად არიან, მიიღონ სტუდენტები პრაქტიკის გასავლელად. პრაქტიკის გავლის შემდეგ სტუდენტი წარადგენს პრაქტიკის ანგარიშს და იცავს საჯაროდ. შეფასების კომპონენტები გაწერილია პრაქტიკის სილაბუსში.

რაც შეეხება კვლევითი უნარების განვითარებას, ამისათვის პროგრამა მოიცავს კვლევის მეთოდების კურსს (კურსის შესახებ რეკომენდაციები იხ. პუნქტი 2.3-ის შესაბამის გრაფაში) და საბაკალავრო ნაშრომს 12 კრედიტის მოცულობით, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს უწევს ემპირიული კვლევის ჩატარება, ეს კი მიღებული თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების ერთობლივ გამოყენებას, რაც ხელმძღვანელის მითითებების პირობებში კვლევის წარმოებისთვის საჭირო ბაზისური უნარ-ჩვევების განმტკიცებას უწყობს ხელს.

გარდა ამისა, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სტუდენტები მაქსიმალურად მონაწილეობენ უნივერსიტეტში თუ პროფესორ-მასწავლებლების მიერ წარმოებულ კვლევებში, ასეთის არსებობის შემთხვევაში (იხ. პუნქტი 4.1).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი;
- საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრება;
- დამსაქმებლებთან გასაუბრება;
- სტუდენტური კონფერენციების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- პრაქტიკის განმახორციელებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

რეკომენდაციები: --

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში ჩართული სწავლა-სწავლების მეთოდები დეტალურად არის გაწერილი როგორც პროგრამაში, ისე -- ცალკეულ სილაბუსებში და წვრილად აღწერს თითოეული მეთოდის სპეციფიკასა და დანიშნულებას. ყველა ჩამოთვლილი მეთოდი შეესაბამება სწავლების საფეხურს, თუმცა დასახვეწია მათი კურსების შინაარსისადმი და სწავლის შედეგებისადმი შესაბამისობა. კერძოდ, პრაქტიკულად ყველა წარმოდგენილ სილაბუსში მოცემულია სწავლების არსებული მეთოდების სრული ჩამონათვალი თავისი განმარტებებით, თუმცა არ არის დაკონკრეტებული, მოცემული კურსის ფარგლებში კერძოდ რომელი მეთოდები გამოიყენება, ვინაიდან შეუძლებელია, რომ ყველა მეთოდი ერგებოდეს ნებისმიერ კურსს. ასე მაგალითად, შეუძლებელია ერთი და იმავე მეთოდების გამოყენებით ისწავლოს სტუდენტებმა საბაზისო სავალდებული საგანი „პიროვნების ფსიქოლოგია“ და არჩევითი, მესამე დონის საგანი „კონფლიქტის ფსიქოლოგია“, თუმცა ორივე კურსის სწავლების მეთოდების ნაწილში დასახელებული მეთოდები იდენტურია (ვერბალური, დემონსტრირების, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის, დისკუსია-დებატების, როლური და სიტუაციური თამაშების, წიგნზე მუშაობის).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთან გასაუბრება.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია სწავლების მეთოდების შერჩევა არსებული ჩამონათვალიდან და მეტად მორგება კონკრეტული კურსის საჭიროებებზე, მის მიზნებსა და მისაღწევ სწავლის შედეგებზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამასა და ცალკეულ სილაბუსებში წარმოდგენილი ცოდნის შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია შეფასების სისტემის სანდოობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის უზრუნველსაყოფად და დეკლარირებულია, რომ ცვალებადობს კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

შეფასების სისტემის გამჭვირვალეობის ერთ-ერთი უზრუნველმყოფი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა წარმოადგენს, სადაც სტუდენტი (და ყველა, ვისაც წვდომა აქვს შესაბამის ინფორმაციაზე) მუდმივად ხედავს საკუთარ წარსულ და მიმდინარე შეფასებას.

როგორც პროგრამაში, ისე -- ცალკეულ სილაბუსებში წარმოდგენილი დეტალიზებული შეფასების სისტემა რამდენიმე გაზომვადი კრიტერიუმისგან შედგება და გამჭვირვალეა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას შედეგების, სუსტი და ძლიერი მხარეების, განვითარების მიმართულების დასახვის შესაძლებლობების შესახებ და უზრუნველყოფს უკუკავშირს, რაც, თავის მხრივ, პროგრამის მდგენელების შედეგებზე ორიენტირებულობის საზომს წარმოადგენს.

თითოეული სილაბუსი მოიცავს დეტალიზებულ შეფასების სისტემას -- შეფასების მდგენელების, ქულების განაწილებისა და ქულის მინიჭების კრიტერიუმების აღწერით. შეფასება შედგება ისეთი კომპონენტებისგან, როგორიცაა: (ა) შუალედური შეფასება (ჯამში 60 ქულა), რომელიც შედგება ზეპირი/წერითი გამოკითხვისგან (20 ქულა), პრაქტიკული/თეორიული სამუშაოსა (10 ქულა) და შუალედური შემოწმებისგან (30 ქულა) და (ბ) დასკვნითი გამოცდა (40 ქულა), რომელმაც წერითი, ზეპირი ან კომბინირებული ფორმა შეიძლება მიიღოს.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც პროგრამის აღწერაში, ისე -- თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ თითოეული სასწავლო აღნიშნული კომპონენტების კურსისთვის სპეციფიკური კომბინაცია დგება, პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული კურსების სილაბუსებში იდენტური შეფასების სტრუქტურაა წარმოდგენილი. ასე მაგალითად, იდენტურად არის გაწერილი შეფასების კომპონენტები განწყობის ფსიქოლოგიისა და სტატისტიკური მეთოდების კურსების სილაბუსებში, რაც სრულიად შეუძლებელია პრაქტიკულად. გარდა ამისა, მაგალითად, ერთ-ერთი კომპონენტია ზეპირი/წერითი გამოკითხვა და კონკრეტული კურსების ფარგლებში არ არის დაკონკრეტებული, რომელია გამოყენებული -- ზეპირი გამოცდა თუ წერილობითი, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

თუმცა აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან საუბარში ითქვა, რომ თავად კურსის შინაარსშია დაკონკრეტებული, რა ტიპის დავალებას და აქტივობას ასრულებს სტუდენტი. აღნიშნული დაედო საფუძვლად ქვემოთ მოცემული რეკომენდაციის შემუშავებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუები;

• სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა www.gtuni.ini.ge.
რეკომენდაციები: ვინაიდან როგორც პროგრამის აღწერაში, ისე -- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში დეტალურად და ზედმიწევნით არის აღწერილი შეფასების სისტემა, ყველა კრიტერიუმი, ქულების განაწილება და შეფასების მეთოდები, ცალკეულ სილაბუსებში რეკომენდებულია: (ა) მხოლოდ მოცემული კურსისთვის მართებული კომპონენტების შეტანა და (ბ) დაკონკრეტება იმისა, უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ალტერნატიული ვარიანტებიდან კონკრეტულად რა მეთოდს იყენებს მოცემული კურსის წამყვანი, ზეპირია გამოკითხვა თუ წერითი, დისკუსიაა თუ დებატი, პრაქტიკული სამუშაოა თუ თეორიული შესასრულებელი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			×	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ტუტორის (აკადემიური კონსულტანტის), პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის, ფაკულტეტის ადმინისტრაციისა (დეკანი, მოადგილეები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სხვა) და უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებით სტუდენტს, თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად, შეუძლია მიიღოს კონსულტაცია და დახმარება ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა აკადემიური რეგისტრაცია, საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები, შეფასების სისტემები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების სასწავლო პროცესისადმი ადაპტირების, საზოგადოებრივი და კულტურული ღონისძიებებისა და სხვა საკითხების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, სტუდენტს შეუძლია გაეცნოს საგანმანათლებლო (კურიკულუმი) და სასწავლო კურსის პროგრამებს (სილაბუსი). საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსების გაცნობა შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (საგანმანთლებლო პროგრამები და კატალოგი). ფაკულტეტის დეკანატი უზრუნველყოფს საინფორმაციო დაფაზე და ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებას სტუდენტების აკადემიური რეგისტრაციის შესახებ. აკადემიურ რეგისტრაციას სტუდენტი ახორციელებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინტერაქტიულ სისტემაში, რომელშიც მას აქტიურად უწევენ დახმარება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის თანამშრომლები. გარდა ამისა, სტუდენტები ინფორმირებულნი არიან მიმდინარე სამეცნიერო, სასწავლო თუ სხვა სახის აქტივობების შესახებ. უფრო კონკრეტულად უნივერსიტეტში დამკვიდრებული პრაქტიკაა ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან ინდივიდუალური კონსულტაციების სტუდენტებისთვის, სტუდენტური სოციალური პროექტების მხარდაჭერა, სტუდენტთა კონფერენციების დაფინანსება და გამარჯვებულთა დაჯილდოება, სამეცნიერო კრებულში სტუდენტთა ნაშრომების განთავსება, სხვა უმაღლესი სასწავლებლების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში სტუდენტთა წარგზავნის უზრუნველყოფა, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებზე ზრუნვა, საჯარო ლექციების, ტრენინგების, მასტერკლასების მხარდაჭერა, საბიბლიოთეკო რესურსის განვითარება და ხელმისაწვდომობის გაზრდა და ინფრასტრუქტურის განვითარებას. და ბოლოს, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციის საათები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • აკადემიურ და მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრება; • სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები; • დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები; • საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა დატვირთვა, ფუნქციები და მათი სამუშაო აღწერილობები.

რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: -- წარმოდგენილი პროგრამა საბაკალავროა, შესაბამისად, ეს ნაწილი არარელევანტურია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: --
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	×			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან და ასახულია უნივერსიტეტის შინაგანაწესში, აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის წესსა და ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მოწვეული სპეციალისტისა და მასწავლებლის არჩევის წესში, რომელიც სრულ შესაბამისობაშია განათლების სფეროს მოქმედ კანონმდებლობასთან. წარმოდგენილ პროგრამას ახორციელებს 10 აფილირებული (მათ შრის, 6 პროფესორი და 4 ასოცირებული პროფესორი) და 2 არააფილირებული (მათ შრის, 1 პროფესორი და 1 ასოცირებული პროფესორი), ასევე, 13 მოწვეული პედაგოგი. მათ შორის ბალანსი ოპტიმალურია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. მიმდინარე წლის 10 აპრილის მდგომარეობით წარმოდგენილ პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე 74 სტუდენტი ირიცხება და პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა შეესაბამება კონტინგენტის ზღვრულ რაოდენობას და ¼-ს არ აღემატება. აკადემიური პერსონალის დატვირთვა ასახავს საქმიანობის რამდენიმე ასპექტს, ესენია: სწავლება, სწავლების მეთოდებისა და კურიკულუმის განვითარება, კვლევა, საგრანტო პროექტებში მონაწილეობა, პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა, საუნივერსიტეტო მომსახურება, სტუდენტების კონსულტირება, საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობა. რაც შეეხება პროგრამის ხელმძღვანელს, მას სასწავლო პროცესში მონაწილეობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს და წარმოდგენილ პროგრამას ხელმძღვანელობის მას შემდეგ, რაც პროგრამა შეიქმნა და დაიწყო ფუნქციონირება. იგი აქტიურად იყო და დღემდე არის ჩართული პროგრამის ფორმირებაში, განვითარებაში, დახვეწასა და განხორციელებაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების მომსახურებას საჭირო რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ისე -- სტუდენტების ინფორმირებას, დატრენინგებას, კონსულტირებას და საჭიროების შემთხვევაში ასისტირებას სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ორიენტირების მიმართულებით ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემებით უზრუნველყოფის სამსახური.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები; • სტუდენტებთან ინტერვიუები; • სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მომსახურე პერსონალთან გასაუბრება; • კომპიუტერული ლაბორატორიის დათვალიერება და სადემონსტრაციო პრეზენტაცია აღნიშნული სისტემის მუშაობის შესახებ; • ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებას შემუშავებული და დეტალურად აქვს გაწერილი პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და მიღებული შედეგების ანალიზის პროცედურები, კრიტერიუმები, განვითარების პროგრამის დაგეგმვის სტრატეგია და პერსონალის დაწინაურება-წახალისების მექანიზმები და ფორმები. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მათი დიდი ნაწილი ამჟამად არ არის აქტიური კვლევითი საქმიანობით დაკავებული, აღინიშნა მხოლოდ უნივერსიტეტის ფარგლებში

ჩატარებული ღირებულებების კვლევა, რომელშიც სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართულნი. აღნიშნული ქვემოთ მოცემული რეკომენდაციის შემუშავების საფუძველი გახდა.

რაც შეეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებას, ამ მიზნით სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიული და/ან სწავლების უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს, როგორიცაა: ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით გამართული ტრენინგები, ნაწილობრივი დაფინანსება სამუშაო მივლინებებისათვის, ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში ჩართვა. ასევე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისათვის ფაკულტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია გარკვეული დაფინანსება.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ადგილზე ვიზიტისას გაირკვა, რომ ფსიქოლოგიის მიმართულებით დასაქმებული აკადემიური პერსონალი ნაკლებად მოიხმარს აღნიშნული სისტემის შესაბამის მოდულებს, რაც ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციის საფუძველს წარმოადგენს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება;
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის ადმინისტრატორთან გასაუბრება;
- სტუდენტებთან ინტერვიუები;
- პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;
- გამოქვეყნებული შრომები;
- პერსონალის მართვის სტრატეგია.

რეკომენდაციები:

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებით ორი საკითხი გამოიკვეთა, რომელიც გამოწვევას წარმოადგენს მოცემული პროგრამის ფარგლებში და რეკომენდაციებიც ამ საკითხებს შეეხება.

1. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ პროგრამას სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს, რაც აკადემიურ პერსონალის დატვირთვაში კვლევითი საქმიანობისთვის მხოლოდ 20%-ის მოთხოვნაში აისახება, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მეტად ეფექტიანად განხორციელებისა და სწავლის შედეგების ნაწილის, კერძოდ, კვლევითი კომპეტენციების განვითარებისათვის, რეკომენდებულია მეტად წახალისდეს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობა, იქნება ეს ადგილობრივი, შიდა საუნივერსიტეტო მცირე დაფინანსება, ცალკეული პროფესორების მიერ ინდივიდუალური თუ ინსტიტუციური კვლევითი გრანტების მოზიდვა თუ პერსონალის დატრენინგება/კონსულტირება საგრანტო წინადადებების მომზადება/წარდგენის მიმართულებით.

2. როგორც სასწავლო სისტემის ელექტრონული მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან, ისე -- აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებლი პერსონალი ნაკლებად იყენებს ელექტრონულ სისტემას სტუდენტებთან ურთიერთობის, სასწავლო მასალის მიწოდების, შეფასებისა თუ უკუკავშირის განხორციელების მიზნით. აღნიშნული სისტემა ძალზე მოქნილი,

მოსახმარად მარტივი და გასაგებია, რაც აჩქარებს, აიოლებს და თვისებრივად ცვლის სასწავლო პროცესის ხარისხს. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობაში მეტად იქნეს ჩართული აღნიშნული სისტემის შესაბამისი მოდულები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების მატერიალური რესურსები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს გააჩნიათ შესაბამისი აღჭურვილობები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია აკადემიური პროცესის სრულყოფილად წარმართვა. არსებული კომპიუტერების რაოდენობა და მათი პროგრამული უზრუნველყოფა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. „ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის“ სტუდენტებს აქვთ წვდომა მათთვის სასურველ პროგრამასთან და უნივერსიტეტშივე იმუშაონ მონაცემთა ანალიზისთვის განკუთვნილ ისეთ პროგრამაში, როგორიცაა IBM SPSS. უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა მოსახერხებელია როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვისაც. უნივერსიტეტის ვებგვერდი საშუალებას იძლევა, სტუდენტი გაეცნოს ნებისმიერ სილაბუსს, შეამოწმოს თავისი აკადემიური მოსწრება, ნახოს დავალებები და აკონტროლოს გადახდების სისტემა, საგნებზე რეგისტრაცია, ცხრილების ონლაინ გენერირება და ჩვენება, ჰქონდეს ელექტრონული რესურსები. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მატერიალურად უზრუნველყოფილი და კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, სადაც უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შეუძლიათ კომპიუტერული მომსახურებითაც ისარგებლონ და ბეჭდვის მომსახურებითაც. ბიბლიოთეკაში არსებობს როგორც ბეჭდური (წიგნების სახით გამოცემული) მასალები, ისე -- ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები (EBSCO-ის პაკეტში შემავალი 11 ბაზა).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება; • სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის ადმინისტრატორთან გასაუბრება; • სტუდენტებთან ინტერვიუები;

- უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება - შემოწმება
- ბაზების გამოყენების სტატისიკური მონაცემები
- თვითშეფასების ანგარიში;
- კომპიუტერული ლაბორატორიის დათვალიერება და სადემონსტრაციო პრეზენტაცია აღნიშნული სისტემის მუშაობის შესახებ;
- დოკუმენტაცია სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებთან დაკავშირებით.
- უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მისამართით: http://www.gtuni.edu.ge.
- ელექტრონული სწავლების ვებ-გვერდის მისამართით: http://moodle.gtuni.edu.ge.
- უნივერსიტეტის მართვის სისტემის ვებ-გვერდი http://www.gtuni.edu.ge/gtunisoft.
- ელექტრონული სწავლების სისტემის მისამართი: http://192.168.10.3/moodle/.

რეკომენდაციები: --

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) : --

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესისა და ჰუმანიტარული ფაკულტეტის, კერძოდ, ფსიქოლოგიის პროგრამის ბიუჯეტი მეტწილად დამაკმაყოფილებია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. ფინანსურ დოკუმენტებში გაწერილი პუნქტები დიდწილად ადეკვატურია, თუმცა ნაკლებად დაწვრილებით არის წარმოდგენილი „სხვადასხვა სამეცნიერო ხარჯების“ ნაწილი, რაც, შესაძლოა, ბუნდოვანს ტოვებდეს აკადემიური პერსონალისთვის, თუ რა სახის სამეცნიერო საქმიანობისთვის აქვს უნივერსიტეტს თანხები გამოყოფილი და რისთვის შეუძლიათ დაფინანსების მოპოვება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება;
- ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- პროგრამის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები: --

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

მართალია, დაწესებულება სასწავლო უნივერსიტეტია და ნაკლებად აქვს კვლევის წარმოების ვალდებულება, პროგრამისა და მასში ჩართული სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე, კარგი იქნებოდა, სამეცნიერო ხარჯების მეტად დეტალიზებულად აღწერა, რათა აკადემიურმა პერსონალმა ზუსტად იცოდეს, რისთვის შეუძლია უნივერსიტეტისთვის თანხების თხოვნა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	×			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ციკლს: „დაგეგმე–განახორციელე–შეამოწმე–განავითარე“. აღნიშნული ციკლი ხორციელდება უნივერსიტეტისა და ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ, სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა სისტემატიური გამოკითხვებისა და მათი ანალიზის საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისას მნიშვნელოვანია სამი ძირითადი შედეგი: (1) რეკომენდაციებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით; (2) საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, ურთიერთობების განვითარებისა და საქმიანობის საუკეთესო გამოცდილების ამსახველი ინფორმაციის გავრცელებისთვის ხელშეწყობა; (3) საკუთარი პოტენციალის უკეთ გაცნობიერება, განვითარების ორგანიზაციული დაგეგმვისა და სწავლების პროცესების სრულყოფა. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მონიტორინგს ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგები, საგანამანათლებლო პროგრამების მიხედვით, ფაკულტეტის საბჭოზე განხილვის შემდეგ, გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს რეკომენდაციების მისაღებად. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციებს, ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან გასაუბრება; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება; • სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის ადმინისტრატორთან გასაუბრება; • სტუდენტებთან ინტერვიუები; • პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები; • გამოქვეყნებული შრომები.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს პროცესში გამოჩნდა წარმოდგენილ პროგრამაში უკუკავშირის საფუძველზე რეალურად განხორციელებული ცვლილებები. რაც შეეხება პროგრამასთან დაკავშირებულ მონაცემებს, ვინაიდან კურსდამთავრებულთა რაოდენობა ძალიან ცოტაა (პირველი გამოშვება წელს ჰყავდა პროგრამას სულ 8 კურსდამთავრებულის სახით), მსჯელობა კმაყოფილებაზე პროგრამასთან მიმართებაში, დასაქმების მაჩვენებელსა და სხვა სტატისტიკურ მონაცემებზე ნაადრევია.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება: ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულება მონაწილეობს ხარისხის პერიოდულ გარე უზრუნველყოფაში, რომელიც ითვალისწინებს საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელშიც ის ფუნქციონირებს. გთუნი-ს სტანდარტებთან შესაბამისობის გარე შეფასების მექანიზმით ხორციელდება შიდა შეფასების (თვითშეფასება) დადასტურება. თვითშეფასებით საგანმანათლებლო დაწესებულება განსაზღვრავს საკუთარ შესაბამისობას სახელმწიფოს მიერ მიღებულ სტანდარტებთან. უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის 11 ოქტომბერს სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები სრულად იქნა გაზიარებული და პრაქტიკაში დანერგილი. 2013 წელს აკრედიტაციის მიღების შემდგომ, პროფესიული მოსაზრებებით, აგრეთვე დაინტერესებულ მხარეთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამა ისე იხვეწებოდა შინაარსობრივი, თემატური თუ სტრუქტურული მიმართულებით, რომ ცვლილებებს არ გამოუწვევია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ცვლილება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გარე ხარისხის შეფასების შედეგები; • გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება; • სტუდენტებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა და სტუდენტთა მონიტორინგის შეფასების მექანიზმები, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით წარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები.

გთუნი-ს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის საჯაროდ ხელმისაწვდომი პოლიტიკა, რომელიც მისი სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილია. შიდა დაინტერესებულმა მხარეებმა (უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედი ყველა პირი, მათ შორის სტუდენტები და აკადემიური/მოწვეული პერსონალი) გარე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებელი, კურსდამთავრებულები და დაწესებულების გარე პარტნიორები) ჩართულობით უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ეს პოლიტიკა შესაბამისი სტრუქტურებისა და პროცესების მეშვეობით.

უნივერსიტეტი ახორციელებს თავისი პროგრამების მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას, რათა უზრუნველყოს დაგეგმილი მიზნების მიღწევა და რეაგირება მოახდინოს სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებებზე. შეფასებამ უნდა მოიტანოს პროგრამების უწყვეტი გაუმჯობესება. ამ პროცესის შედეგად დაგეგმილი ან განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა უნდა ეცნობოს ყველა შესაბამის მხარეს.

უნივერსიტეტში იგეგმება პროგრამის განვითარების მიზნით განმავითარებელი შეფასებისათვის პროგრამის ექსპერტიზა, ამ მიზნით უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები და ინფორმაციების გაცვლის პროცესი ნიდერლანდების სამეფოს „ინ-ჰოლანდი“-ის უნივერსიტეტთან, რომელიც ახორციელებს ანალოგიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ასევე მხარეების ურთერთშეთანხმების საფუძველზე ბოლო ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობს სტუდენთა გაცვლით პროგრამებში ჩართულობა.

მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში -- პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასების შედეგები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება;
- დაწესებულების მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- პერსონალის მართვის სტრატეგია;
- სტუდენტებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	×			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფსიქოლოგია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 34 გვერდი

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✘			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✘	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✘			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✘			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✘			

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლილი ხეჩუაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკატერინე ფრიცხალავა



სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა საბა ბაზლიძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა